ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №5

2023 წლის 11 აპრილი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიცუბიში „DELICA“ ა(ა)იპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებული 1 ერთეული ტექნიკის: მიცუბიში „DELICA“ (რეგისტრაციის ნომერი BA921BA, გამოშვების წელი 1990) ა(ა)იპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ... ბაჩანა მარკოიშვილი